

2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტმენტი, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა.

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

პროფესორი, ბ.მ.დ, ნანული დორეული - ხელმძღვანელი, ფიზიოლოგიის კათედრის გამგე; ბ.აკად. დ., ასოცირებული პროფესორი მაგდა ალანია; ბ.აკად.დ, ასისტ. პროფესორი ბუციკო ჩხარტიშვილი; პედაგოგი მანანა ჩიქოვანი; ბ.აკად. დ. ეკატერინე მითაიშვილი; ბ. აკად. დ. როზა ბუკია; ბ.მ.აკად.დ. ხათუნა ფარქოსაძე, ბ.მ.დ. ბესარიონ ფარცვანია; ფიზიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგე, ბ.აკად.დოქ., ივანე კობაიძე, ლაბორანტები ბ.მ.აკად.დ. მელიცა სვანიძე, სადოქტორო პროგრამა დოქტორანტები: ცირა კაპანაძე, მარიამ ქურასბედიანი, ქეთევან ჩუბინიძე. მაგისტრი-გია ქუთელია, ლაბორანტი, დამხმარე პერსონალი - ანი ჭახნაკია.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
	ქვერცეპტინ-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების ანტიეპილეფსიური პოტენციის შესწავლა ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში	დაწყება (19.12.2017) დამთავრება (19.12.2020)	პროფ. ნანული დორეული - პროექტის ხელმძღვანელი, მარიამ ქურასბედიანი-დოქტორანტი, პროექტის კოორდინატორი. მანანა ჩიქოვანი, როზა ბუკია, ბუციკო ჩხარტიშვილი, ბესარიონ ფარცვანია, გია ქუთელია, ქეთევან ჩუბინიძე - ძირითადი პერსონალი, ანი ჭამხაჯია-დამხმარე პერსონალი -IT სპეციალისტი, ლაბორანტი.
<p>გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>2018 წელს აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით კვლევები 2 ეტაპად მიმდინარეობდა და ძირითადი პრაქტიკული და თეორიული შედეგები შემდეგია:</p> <p>კვლევის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა კაინის მჟავას in vivo ეპილეფსიის ცხოველური მოდელის შექმნას(კმ-ეს) და მისი მახასიათებლების შეფასებას. ზრდასრული ლაბორატორიული ვირთაგვების გადარჩევის (საანგარიშო პერიოდის პირველი თვე) და ტემპორალური წილის ეპილეფსიის ცხოველური მოდელის ფარმაკოლოგიური მიდგომით (კაინის მჟავას (გლუტამატერგული აგონისტი) ერთჯერადი ინტრაპერიტონული ინექცია) შექმნის შემდგომ, ქცევით ექსპერიმენტებში ვირთაგვებში ქცევითი კრუნჩხვების აღმოცენების ლატენტური პერიოდი, ხანგრძლივობა და სიხშიროვანი მაჩვენებლები შეეფასეთ კაინის მჟავას ინექციიდან 4-5 კვირის განმავლობაში. ეპილეფტოგენეზის სხვადასხვა სტადიაზე ქცევითი პარამეტრების შეფასება და საკონტროლო ვირთაგვების შესაბამის მონაცემებთან შედარება განხორციელდა ღია ველისა და T- ლაბირინთის ტესტებში. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ კაინის მჟავას ინექცია (15მგ/კგ) ვირთაგვების 70% იწვევს ეპილეფსიური სტატუსის ჩამოყალიბებას (რასინის შკალის მე-3-მე-5 სტადია), 25-30%-ში იყო ლეტალური გამოსავალი და 0-5% - რომელთაც ინექციიდან 1 სთ-ის განმავლობაში არ აღენიშნათ სიმპტომები. ეპილეფსიური შეტევების გამოვლენის ფარული პერიოდი ვარირებდა 10-15 წთ-ის ფარგლებში. ძლიერი კრუნჩხვითი აქტივობის შემთხვევაში ლეტალობის თავიდან ასაცილებლად კეთდებოდა დიაზეპამის (გაემ-ერგული ანტაგონისტი) ინექცია. ქცევითი მახასიათებლების მონიტორინგი ხორციელდებოდა ინექციიდან 2-3 დღის შემდეგ.</p> <p>ეპილეფტოგენეზის სხვადასხვა სტადიაზე ქცევითი კრუნჩხვების რაოდენობისა და ხანგრძლივობის ანალიზმა აჩვენა, რომ კმ-ეს-ის ჩამოყალიბებიდან მე-2-მე-3 კვირას კრუნჩხვების ხანგრძლივობა 4.5-ჯერ</p>			

იზრდება, კრუნჩხვების რაოდენობის სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილების გარეშე. ცვლილებები აღნიშნა როგორც მოტორულ აქტივობაში, ისე ემოციური სტატუსის მაჩვენებლებში. სივრცითი მეხსიერების ტესტმა კი ეპილეფსიური სტატუსის ვირთაგვებში კონტროლთან შედარებით სწორი რეაქციების სტატისტიკურად სარწმუნო შემცირება გამოავლინა, რაც მათში მეხსიერების მექანიზმების დარღვევის მაჩვენებელია.

ეპილეფტოგენეზის სხვადასხვა სტადიაზე მორფოლოგიური მახასიათებლების შეფასებამ და საკონტროლო ვირთაგვების შესაბამის მონაცემებთან შედარებამ ასევე აჩვენა მორფოლოგიური ცვლილებების დინამიური ხასიათი: (კმ-ეს)-ის მე-2 კვირას პირველ კვირასთან შედარებით მატულობს ჰიპოკამპში სტრუქტურული დაზიანებების ხარისხი, რაც გამოვლინდა CA1/CA3 ველებში ნეირონთა საერთო რაოდენობის სტატისტიკურად სარწმუნო შემცირებით. ეპილეფტოგენეზის მესამე/მეოთხე კვირას განსხვავებები თანდათან მცირდება, რაც სავარაუდოდ დაკბილულ ფასციაში ნეიროგენეზის სტიმულაციის შედეგი უნდა იყო, რაც მოცემულ ეტაპზე ჩვენი კვლევის საგანია ვსწავლობთ რა პროლიფერადი უჯრედების რაოდენობის ცვლილებებს დაკბილულ ფასციასა და ჰიპოკამპის ველებში.

კვლევის მეორე ეტაპი მიზნად ისახავდა რკინაშემცველი მაგნიტური ნანონაწილაკებისა (მწნ) და ქვერცეტი-დაკავშირებული მაგნიტური-ნანონაწილაკების (ქმწნ) ეფექტების შესწავლას საკონტროლო ვირთაგვებში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაიგეგმა ექსპერიმენტები, რომლებიც თანმიმდევრულად განხორციელდა გემა-გრანფიკის შესაბამისად: საანგარიშო პერიოდის 1-2 თვე მიმდინარეობდა მაგნიტური ველის პარამეტრების შერჩევა და მისი გავლენის შეფასება ვირთაგვების ქცევით მახასიათებლებზე. ასევე ქვერცეტი-დაკავშირება მაგნიტურ ნანონაწილაკებთან და მისი მახასიათებლების შეფასება.

მაგნიტური ველის ექსპოზიციისათვის გამოვიყენეთ კონუსის ფორმის მაგნიტი, რომლის 1მმ დიამეტრის წვერით შესაძლებელია 1ტესლას სიძლიერის მაგნიტური ველის ექსპოზიცია. მაგნიტური ველის ზემოქმედება ვირთაგვებზე ხორციელდებოდა 1სთ-ის განმავლობაში უნილატერალურად, მარჯვენა ჰიპოკამპის პროექციაში. აღნიშნულ პერიოდში ვირთაგვები იმყოფებოდნენ კეტამინის ნარკოზის ქვეშ. მათი თავის ფიქსაციის მიზნით გამოყენებული იყო სტერეოტაქსული აპარატი. მაგნიტური ველის ექსპოზიცია განხორციელდა 3-ჯერადად დღეგამოშვებით. საკონტროლო ვირთაგვები იგივე სქემით ღებულობდნენ როგორც სანარკოზე საშუალებას, ასევე ექვემდებარებოდნენ სტერეოტაქსულად თავის ფიქსაციას. ნარკოზის ეფექტების გამოსარიცხად ვირთაგვების მესამე ჯგუფი წარმოადგენდა სუფთა კონტროლს. ზემოაღნიშნული პროცედურების შემდეგ ქცევით ექსპერიმენტებში (ღია ველი, T-ლაბირინთი) განხორციელდა ვირთაგვების მოტორული/ემოციური პარამეტრების და დასწავლა/მეხსიერების მაჩვენებლების შეფასება. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ 1ტესლა სიძლიერის მაგნიტური ველის 1სთ-იანი ექსპოზიცია არ ცვლიდა ვირთაგვების როგორც მოტორული აქტივობისა და ემოციურ სტატუსის, ასევე დასწავლის მაჩვენებლებს. აღსანიშნავია, დასწავლის მაჩვენებლები არ იცვლებოდა ნარკოზის 3-ჯერადი გამოყენების ფონზეც. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩავთვალეთ 1ტესლა სიძლიერის მაგნიტური ველის გამოყენება ექსპერიმენტებში ქვერცეტი-დაკავშირებული მაგნიტური ნანონაწილაკების გადაადგილების სამართავად.

განხორციელდა ექსპერიმენტები ქვერცეტი-დაკავშირების მაგნიტურ ნანონაწილაკებთან დაკავშირების მიზნით. ცდებში გამოვიყენეთ მაგნიტური ნანონაწილაკი 30მმ დიამეტრის (Sigma, N747408 Fe(II,III) ოქსიდის წყალხსნარი) და ქვერცეტი (Sigma, Q4951). ქვერცეტი იხსნება ორგანულ გამხსნელებში, ჩვენ გამოვიყენეთ DMSO. წყალში გახსნილი მწნ და DMSO-ში გახსნილი ქვერცეტის ურთიერთდაკავშირება განხორციელდა ქვემოთ მოცემული პროცესების გათვალისწინებით: 1. ურთიერთშევადარეთ ნანონაწილაკისა და ქვერცეტის მოლეკულის ზომები, რის საფუძველზეც გაირკვა, რომ ჩვენს მიერ გამოყენებულ მწნ-ზე თავისუფლადაა შესაძლებელი 100 ქვერცეტის მოლეკულის დაკავშირება. 2. ქვერცეტის საექსპოზიციო დოზად შეირჩა 25მგ/კგ. აქედან გამომდინარე განისაზღვრა სააპლიკაციო ქვერცეტის მოლეკულათა რაოდენობა. ქვერცეტის მოლეკულური წონაა 302.2გრ, და ის 6.02 X10²³ (ავოგადროს რიცხვი) მოლეკულას შეიცავს. შესაბამისად, 25მგ შეიცავს 49X10¹⁸ ქვერცეტის მოლეკულას, რომლის დასაკავშირებლად 100-ჯე ნაკლები ნანონაწილაკის მოლეკულაა საჭირო. Fe₃O₄ –ის მოლეკულური წონაა 231.52გრ. და, 1მლ-ში გახსნილი 1მგ ნივთიერება 2.6X10¹⁸ მოლეკულას წარმოადგენს. ქვერცეტის მოლეკულების დასაკავშირებლად საჭირო 49X10¹⁶ ნანონაწილაკი კი შესაბამისად 180მკლ მწნ-იან ხსნარშია წარმოდგენილი. ამ გათვლებზე დაყრდნობით განისაზღვრა ნანონაწილაკებისა და ქვერცეტის თანაფარდობა, თუმცა დამატებითი პრობლემები წამოჭრა იმან, რომ ქვერცეტი წყალში არ იხსნება. საბოლოოდ მრავალჯერადი ტესტირებით შეირჩა საინექციო ხსნარის სასურველი პროპორცია: ვირთაგვების წონიდან გამომდინარე (დაახლოებით 180 გრ). საინექციო ხსნარი შეიცავდა 54მკლ. ქვერცეტის საბაზისო ხსნარიდან (300მკლ DMSO-ში გახსნილი 25მგ ქვერცეტი), 34მკლ მწნ (1მგ/1მლ) და სრული გახსნისათვის ვამატებდით 45მკლ DMSO-

ს. რკინის ნანონაწილაკისა და ქვერცეტილის დაკავშირების შეფასება განხორციელდა არაპირდაპირი მიდგომით, კერძოდ ქვევით და ელექტროფიზიოლოგიურ ექსპერიმენტებში მათ ეფექტებზე დაკვირვებით, ასევე განხორციელდა DMSO-ში გახსნილი ქვერცეტილის, წყალში გახსნილი მნნ და ქვერცეტილ-დაკავშირებული-მნნ ხსნარების სპექტრული ანალიზი. მიღებული მონაცემები ქვერცეტილის მაგნიტურ-ნანონაწილაკებთან დაკავშირებაზე მიუთითებს.

ზემოაღნიშნული კვლევებით მიღებული მონაცემების საფუძველზე მეორე საანგარიშო პერიოდის შემდგომ ეტაპზე (3-5თვე) განხორციელდა ექსპერიმენტები ვირთაგვებში როგორც ცალკე მნნ-ის, ისე ქვერცეტილ-დაკავშირებული მნნ-ის ქვევითი ეფექტების განსაზღვრის მიზნით. ექსპერიმენტებისათვის მომზადდა ვირთაგვების 3 ჯგუფი: ა)საკონტროლო, ბ) ვირთაგვები მნნ-ის ინექციით, და 3. ვირთაგვები ქვერცეტილ-დაკავშირებული-მნნ ინექციით. ცდებში გამოიყენებოდა 170-180გრ თეთრი ლაბორატორიული ვირთაგვები. ანესთეზირებული ვირთაგვები მაგრდებოდნენ სტერეოტაქსულ აპარატში და მაგნიტური ველის ექსპოზიცია ხორციელდებოდა უნილატერალურად მარჯვენა ჰიპოკამპის პროექციაზე 1სთ-ის განმავლობაში. მაგნიტური ველის ექსპოზიციიდან 30 წთ-ის შემდეგ კუდის ვენაში შეგვყავდა მნნ ან ქმნნ, საკონტროლო ცხოველები ელბულოდნენ იგივე რაოდენობის ფიზიოლოგიურ ხსნარს. შეყვანები განხორციელდა 3ჯერ დღეგამოშვებით. ინექციების დამთავრებიდან 2 დღის შემდეგ განხორციელდა ქვევითი ექსპერიმენტები ღია ველისა და T-ლაბირინთის ტესტებში. ღია ველში ვაფასებდით ვირთაგვების მოტორულ აქტივობასა და ემოციურ სტატუსს, ხოლო T-ლაბირინთში სივრცით მეხსიერებას. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ქვერცეტილი როგორც დამოუკიდებლად, ისე მაგნიტურ-ნანონაწილაკთან დაკავშირებული იწვევს დასწავლის მაჩვენებლის სტატისტიკურად სარწმუნო გაზრდას, რაც გამოიხატა სწორი რეაქციების რაოდენობის მომატებით დასწავლის პირველ პერიოდში, ამასთან ქვერცეტილისა და ქ-მნნ სერიის მონაცემებს შორის განსხვავება არ იყო.

სისტემურად შეყვანილი მნნ-ის მაგნიტური ველის გავლენით ტვინის სტრუქტურებში გადაადგილების შესაფასებლად განხორციელდა მორფოლოგიური ექსპერიმენტები, როგორც დადებითი კონტროლი გამოიყენეთ ელენტა (ბუნებრივად რკინაშემცველი სტრუქტურა). ვირთაგვებში საერთო ანესთეზიის ფონზე კუდის ვენაში შეგვყავდა ქმნნ, ხოლო თავის ტვინის მარჯვენა ან მარცხენა ჰემისფეროებში ჰიპოკამპის დონეზე ხდებოდა მაგნიტური ველის 1სთ-იანი ექსპოზიცია. ცხოველების დეკაპიტაცია ხდებოდა ნანონაწილაკის შეყვანიდან 1-1.5სთ-ის შემდეგ. ტვინის ფიქსაციას ვახდენდით ბუენის საფიქსაციო სითხეში, რომლის გამოყენების მიზანი იყო ეთილის სპირტის წილის შემცირება საფიქსაციო ხსნარში და შესაბამისად ქსოვილის შეკუმჭვის მინიმუმაცია. ამავე დროს ცნობილია, რომ ბუენის სითხე კარგად ინახავს რკინას. ფიქსაციის შემდეგ მიმდინარეობდა მასალის ჰისტოლოგიური დამუშავება. პერლსის მეთოდისა და შეღებვისათვის საჭირო ქიმიური ნაერთების რეაქციის ხარისხის შემოწმების მიზნით, პარალელურად, ვახდენდით როგორც საკონტროლო ვირთაგვების ტვინის ანათლების, ასევე ელენტის პარაფინიანი ანათლების მომზადებასა და შეღებვას. პერლსის მეთოდით შეღებილ ანათლებში რკინის შემცველობის ვიზუალიზაცია და რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობრივი მაჩვენებლების დადგენა ხდებოდა ცხოველების ორ ჯგუფში: 1. მარჯვენა და 2. მარცხენა მხარეს მაგნიტური ველის ექსპოზიციით. რკინაშემცველი ჩანართების დათვლას ვაწარმოებდით ტვინის ოთხ მიდამოში: ჰიპოკამპის CA1/CA3 ველებში, დაკბილულ ფასციაში (გარე და შიდა შრეებში და ჰილუსში), ასევე დიდი ტვინის ქერქში. მაგნიტური ველის გავლენის შეფასების მიზნით მიღებულ მონაცემებს ორივე ჯგუფის ცხოველებში ვადარებდით იმავე ანათალზე კონტრალატერალური ინტაქტური მხარის სტრუქტურებში კინაშემცველი ჩანართების რაოდენობას. დათვლა მიმდინარეობდა ჰიპოკამპის კრანიალურ, ცენტრალურ და კაუდალურ მიდამოებში. კვლევამ აჩვენა, რომ მაგნიტური ველის უნილატერალური ექსპოზიციისას რკინაშემცველი ჩანართების რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა შეესაბამება მაგნიტური ველის ექსპოზიციის მხარეს, ამასთან სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება კონტრალატერალური მხარის შესაბამის მონაცემებთან მიმართებაში აღინიშნა მაგნიტური ველის მხოლოდ მარჯვენა მხარის ექსპოზიციის შემთხვევაში.

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

	მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი		
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
2					
3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ნ. დორეული, მ.ქურასხედიანი, მ.ჩიქოვანი, ე.მითაიშვილი, ბ.ჩხარტიშვილი	საფერავის ფლავონოიდების გავლენა ვირთაგვებში დასწავლა/მეხსიერების მექანიზმების ასაკთან დაკავშირებულ ცვლილებებზე ISSN-0321-1665	საქ. მეცნ. ეროვნ. აკად.მაცნე (ბიოლოგიის სერია). 2018, 44(3-4)	ივ. ბერიტაშვილის სახელობის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოება	9
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

ფლავონოიდები და მისი მსგავსი ფენოლური ნაერთები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის კვების რაციონში. ისინი წარმოადგენენ ძლიერ ანტიოქსიდანტებს და ხასიათდებიან ცირკულაციაში მყოფი რეაქტიული ჟანგბადისა და აზოტის შებოჭვის უნარით. გადიან რა ჰემატოენცეფალურ ბარიერს, აქვთ ტვინის სტრუქტურებში, განსაკუთრებით კი ქერქსა და ჰიპოკამპში დაგროვების უნარი, ამდენად მონაწილეობენ ჰიპოკამპთან დაკავშირებული ფუნქციების რეალიზაციაში.

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა „საფერავის“ ღვინიდან გამოყოფილი ფლავონოიდების აქტიური ფრაქციის (სფაფ) ეფექტების შესწავლა ჰიპოკამპთან ასოცირებული დასწავლა/მეხსიერების მექანიზმების ასაკთან დაკავშირებულ ცვლილებებზე ვირთაგვებში.

ქცევით ექსპერიმენტებში ჩვენ შევისწავლეთ სფაფ-ით 8-10 კვირის ვირთაგვების ადრეული პოსტნატალურ პერიოდში ან უშუალოდ 2 თვის ასაკში კვების ეფექტები მეხსიერება/დასწავლის მაჩვენებლებზე. ადრეული პოსტნატალური კვების მიზნით გამოვიყენეთ ვირთაგვების დედის რძით კვება. დედა ვირთაგვას ეძლეოდა საფერავის ფლავონოიდი 200მგ/კგ დღიური დოზით 8 დღის განმავლობაში. საფერავის ფლავონოიდების გახსნა ხდებოდა სპირტში და შეყვანა ხორციელდებოდა საკვებთან ერთად ბურბუშელაზე მისი დაწვევებით. სპირტის მოცილება ბურბუშელადან კი ხდებოდა თერმოსტატში საკვების გამოშრობით.

ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ვირთაგვების სფაფ-ით ადრეული პოსტნატალური კვება იწვევდა დასწავლის დინამიკაში ცვლილებებს: ასეთი ვირთაგვები დასწავლის კრიტერიუმს აღწევდნენ უკვე მე-5 დღეს, განსხვავებით საკონტროლო ჯგუფისა, სადაც დასწავლის კრიტერიუმი მიიღწეოდა მე-10-მე-11 დღეს. ვირთაგვებში დასწავლის მაჩვენებლებში აღნიშნული ცვლილებები ასოცირებული იყო ღია ველში გართა კვადრატების გადაკვეთისა და გრუმინგების ხანგრძლივობის მაჩვენებლების სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებებთან. მოტორული აქტივობისა და ემოციური სტატუსის მაჩვენებლებში აღნიშნული ცვლილებები დადებით კორელაციაში იყო დასწავლის დინამიკაში გამოვლენილ ცვლილებებთან. პასიური განრიდების ტესტის მონაცემებმა აჩვენა, რომ სფაფ-ით ადრეული პოსტნატალური კვება არ ცვლის 2 თვის ასაკის ვირთაგვების თავდაცვით ქცევას. 2 თვის ასაკის ვირთაგვების სფაფ-ით კვება განხორციელდა დღიური დოზით 25მგ/კგ 8 დღის განმავლობაში. ფლავონოიდების ექსპოზიცია ხდებოდა საკვებთან ერთად ზემოაღწერილი წესით. ღია ველის მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ სფაფ-ით ზრდასრული ვირთაგვების კვება არ ცვლიდა მათ ქცევით პარამეტრებს, ზოგიერთი პარამეტრის საშუალო მაჩვენებლებში აღრიცხული ცვლილებები კი არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სარწმუნო.

სფაფ-ით 8-10 კვირის ასაკის ვირთაგვების კვება ასევე არ იწვევდა დასწავლის დინამიკაში ცვლილებებს. 8-10 კვირის ასაკის ცხოველების ქცევითი პარამეტრები შევადარეთ 28-32 კვირის ვირთაგვების მაჩვენებლებს, რათა შეგვეფასებინა დასწავლა/მეხსიერების მაჩვენებლებში ნორმალური დაბერებით განპირობებული ცვლილებები. დასწავლის დინამიკაში პირველი 6 დღის განმავლობაში განსხვავება ამ ორ ჯგუფს შორის არ აღინიშნებოდა, თუმცა ხანდაზმულ ცხოველებში დასწავლის კრიტერიუმი მნიშვნელოვნად არის შემცირებული 8-10 კვირის ვირთაგვებთან შედარებით (სურ.4). ხანდაზმულ ცხოველებში ცვლილებები აღინიშნა თავდაცვითი ქცევის განხორციელებაშიც, რაც გამოიხატა პასიური განრიდების ტესტში მათ მიერ V-ელექტროფიცირებული კაბინაში შესვლის სიხშირის მომატებით ახალგაზრდა ასაკის ვირთაგვებთან შედარებით (სურ. 5). 8-10 კვირის ვირთაგვები ელექტოდენით ერთხელ მტკივნეული გაღიზიანების მიღების შემდეგ, ჩვეულებრივ დანარჩენი საკვლევი პერიოდის განმავლობაში ელექტროფიცირებულ კაბინაში აღარ შედიან, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ბნელ განყოფილებაში გადასვლა ვირთაგვებში გენეტიკურად დეტერმინირებული ქცევაა. 28-32 კვირის ვირთაგვები აღნიშნულ კაბინაში აგრძელებენ შესვლას, რაც მეხსიერების დეფიციტის მაჩვენებელია. სფაფ-ით 28-32 კვირის ასაკის ვირთაგვების წინასწარი 5 დღიანი კვება იწვევდა როგორც ნორმალური დაბერებით განპირობებული მეხსიერების დარღვევების კორექციას (სურ.6.ა), ისე თავდაცვითი ქცევის გაუმჯობესებას. ხანდაზმული ვირთაგვების სფაფ-ით ვკვება არ იწვევდა იმ ცვლილებების კორექციას, რაც აღინიშნა ღია ველის ექსპერიმენტებში ამ ორი ჯგუფის ცხოველების მოტორულ აქტივობაში.

მიღებულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სფაფ იწვევს სივრცითი მეხსიერების ასაკთან დაკავშირებული დარღვევების კორექციას. სფაფ-ის როგორც კვებითი დანამატის გამოყენება ადრეულ პოსტნატალურ პერიოდში აუმჯობესებს დასწავლის დინამიკას, თუმცა დასწავლაში ცვლილებები არ აღინიშნა სფაფ-ის უშუალოდ 8-10 კვირის ვირთაგვების კვების შემთხვევაში. საფერავის ეფექტების სიძლიერე კორელირებს ჰიპოკამპში მეხსიერების მექანიზმის

ასაკთან დაკავშირებულ სტატუსთან: ის დადებითად მოქმედებს მექანიზმების ფორმირებისა და მისი დისფუნქციის შემთხვევაში, ნორმალური ფუნქციონირებისას კი მასზე არ ახდენს გავლენას.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Karen A. Mesce, Magda Alania , Quentin Gaudry, and Joshua G. Puhl	The stomatogastric nervous system of the medicinal leech: its anatomy, physiology and associated aminergic neurons	Journal of Experimental Biology (2018) 221	Published by The Company of Biologists Ltd	10

2	Nino Chikobava, Nana Doreuli, Nodar Mitagvaria	doi:10.1242/jeb.175687 The Role of Nitric Oxide in the Changes of Blood Vessels Acetylcholine Induced Dilation in the Conditions of Hyperhomocysteinemia e-ISSN: 2348-6848 p-ISSN: 2348-795X Volume 05 Issue-01 January 2018	International Journal of Research, 5(1):2035-2040	Available at https://edupediapublications.org/journals	6
---	--	---	--	---	---

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სამედიცინო წურბელას სტომატოგასტრული ნერვული სისტემა: მისი ანატომია, ფიზიოლოგია და ასოცირებული ამინერგული ნეირონები

სამედიცინო წურბელა (*Hirudo verbena*) გარდა იმისა, რომ გასული საუკუნის ბოლოდან დაუბრუნდა მედიცინას პლასტიკურ ქირურგიაში, ათწლეულების განმავლობაში ბევრი მეცნიერისათვის წარმოადგენდა მოსახერხებელ ცხოველურ მოდელს ნეირონული კავშირების მნიშვნელობის დასადგენად ბუნებრივი ქცევების ფორმირებაში. სწორედ წურბელაში ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე გაკეთდა პირველი დასკვნები სეროტონინის ინტეგრაციული როლის შესახებ ქცევაში.

წურბელის ქცევითი რეპერტუარიდან ყველასთვის კარგად ცნობილია სისხლით კვება, რომელსაც იგი ახორციელებს სამ კუნთოვან ყბასთან დაკავშირებული ბასრი კბილების მეშვეობით. ამ ქცევის ნეირონული საფუძვლების შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობდა ზოგადად როგორც სამედიცინო წურბელის ისე სხვა სახეობის წურბელებში. 70 წლის წინ (Hanke, 1948) გამოქვეყნდა წურბელის ვისცერალური სტომატოგასტრული ნერვული სისტემის მოკლე აღწერა.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე პირველად აღიწერა და დახასიათდა სრულად წურბელის სტომატოგასტრული ნერვული სისტემის განგლიები, ამ განგლიებში ლოკალიზებული ნეირონების მორფოლოგიური და ელექტროფიზიოლოგიური მახასიათებლები; განისაზღვრა მათში ამინერგული ნეირონებისა და პროექციების ლოკალიზაცია, გადაიხედა ადრე იდენტიფიცირებული კვებითი აქტივობისათვის ე.წ. “ბრძანების” გამცემი (command-like) სეროტონინერგული ნეირონული წყვილის პროექციები და ნაჩვენები იქნა ნახევრადინტაქტურ პრეპარატებზე, რომ ეს ნეირონები აქტივდებიან კვებითი სტიმულებით. მიღებული მონაცემები იძლევა ახალ საფუძველს კვების ნეირონული ქსელების რეგულაციის და მოდულაციის მექანიზმების დასადგენად.

ახალი ექსპერიმენტულად ხელმისაწვდომი ცხოველური მოდელის დამატება სტომატოგასტრული ნერვული ქსელების შედარებითი კვლევებისათვის ხელს შეუწყობს იმის გაგებას, თუ როგორ ყალიბდებოდა კვებით აქტივობასთან დაკავშირებული ნეირონული ცენტრების სტრუქტურული და ფუნქციური არქიტექტურა მათ შორიც მუშაუროვნებშიც ევოლუციური და განვითარების ფაქტორების ზემოქმედებით.

სამედიცინო წურბელის შესწავლის დროს გამოყენებულია უჯრედების მონიშვნის, იმიჯინგის და ელექტროფიზიოლოგიური რეგისტრაციის თანამედროვე მეთოდები.

ნაშრომის ძირითადი ექსპერიმენტული ნაწილი მინესოტას უნივერსიტეტის ენტომოლოგიის დეპარტამენტში საერთაშორისო ექსპერტ, პროფესორ კარენ მემის ლაბორატორიაში შესრულდა. მაგდა ალანის ვიზიტი მემის ლაბორატორიაში აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების (CRDF) და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების (GRDF) ფონდების ხელშეწყობით განხორციელდა.

ამერიკელ კოლეგებთან - აშშ მინესოტას და მერილენდის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან თანაავტორობით პუბლიკაცია “სამედიცინო წურბელის სტომატოგასტრული ნერვული სისტემა: ანატომია, ფიზიოლოგია და მასთან დაკავშირებული ამინერგული ნეირონები”, ჟურნალის აპრილის ნომრის გარეკანზეა ციტირებული.

აზოტის ოქსიდის როლი ჰიპერჰომოცისტეინემიის დროს აცეტილქოლინით გამოწვეულ სისხლძარღვთა დილატაციაში

ჰომოცისტეინის რაოდენობის ზრდა სისხლის პლაზმაში, სხვადასხვა მეცნიერის მიერ განიხილება როგორც ლეტალური გამოსავლის მარკერი. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი ბოლომდე არაა გარკვეული და საჭიროებს შემდგომ კვლევას.

ჩვენი მიზანი იყო ექსპერიმენტულად შეგვესწავლა აზოტის ოქსიდის როლი არტერიოლებში აცეტილქოლინით გამოწვეულ ვაზოდილატაციის სიმძლიერეში ჰიპერჰომოცისტეინემიის ცხოველურ მოდელებში. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა ენდოთელური აზოტის ოქსიდის სინთაზას (NOS) ბლოკირების ფონზე შეგვესწავლა აცეტილქოლინის ზემოქმედების საპასუხოდ როგორ იცვლება ვაზოდილატაცია საკონტროლო და საექსპერიმენტო ცხოველების (ცხოველები ჰიპერჰომოცისტეინემიით) არტერიოლების ნორმალურ და დენდოთელიზირებულ სეგმენტებში. ლაბორატორიულ მამრ ვირთაგვებში ზომიერი ჰიპერჰომოცისტეინემიის გამოწვევა ხდებოდა სასმელ წყალში L-Methionine-ის დამატებით, ხოლო NOS ბლოკირებისთვის გამოვიყენეთ არასელექტური ბლოკატორი L-NAME. მიღებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ჰიპერჰომოცისტეინემია დაკავშირებულია აცეტილქოლინით გამოწვეულ დილატაციის დაქვეითებასთან. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი ცვლილებები დაკავშირებულია არტერიული ვაზომოტორული რეაქციების დარღვევით, რაც თავის მხრივ გამოწვეულია აზოტის ოქსიდის დეფიციტით. ეს, როგორც ჩანს, წარმოადგენს ჰიპერჰომოცისტეინემიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სისხლძარღვოვანი დაავადებების ადრეული სტადიის.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნანული დორეული, მარიამ ქურასბედიანი, ანი ჭახნაკია, მანანა ჩიქოვანი, გია ქუთელია, ანა კაკაბაძე, ბესარიონ ფარცვანია	ორექსინის ეფექტების შესწავლა ჰიპოკამპის CA1/CA3 ველებში ნეირონულ აქტივობაზე საკონტროლო და კანინის მჟავას-ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში	ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 12-15 თებერვალი, 2018 http://conference.ens-2018.tsu.ge/
2	ბუციკო ჩხარტიშვილი, მარიამ ქურასბედიანი, როზა ბუკია, მაგდა ალანია, ეკატერინე მითაიშვილი, მელიცა სვანიძე, ნანული დორეული	საფერავის ფლავონოიდების ეფექტების შედარება ქვერცეტინისა და აზოტის ოქსიდის-სინთაზას ბლოკატორის ეფექტებთან კანინის მჟავას ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში	ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 12-15 თებერვალი, 2018 http://conference.ens-2018.tsu.ge/
3	ც. კაკაბაძე მ. ქურასბედიანი, მ. ჩიქოვანი, ნ. დორეული	ორექსინის გავლენა ჰიპოკამპის CA1/CA3 ველში სინაფსურ გაადვილებაზე საკონტროლო და კანინის მჟავას - ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში.	ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 12-15 თებერვალი, 2018 http://conference.ens-2018.tsu.ge/
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ორექსინის ეფექტების შესწავლა ჰიპოკამპის CA1/CA3 ველებში ნეირონულ აქტივობაზე საკონტროლო და კაინის მჟავას-ეპილეფსიის ცხოველურ მოდელში

ეპილეფსია ცნს-ის ქრონიკული დაავადებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სპონტანური განმეორებადი კრუნჩხვები[1]. ეპილეფსია ზრდის ძილის პათოლოგიების გამოსწვევის რისკს[2], რასაც შეუძლია გამოიწვიოს კრუნჩხვების სიხშირის გაზრდა[3] და ცხოვრების ხარისხის შემდგომი გაუარესება კოგნიტური პროცესების დაქვეითებისა და ფსიქოლოგიური დარღვევების განვითარების გამო. კარგადაა ცნობილია ორექსინერგული სისტემის როლი ფიზიოლოგიურ პროცესებში, ნაჩვენებია მისი მონაწილეობა ნარკოლეფსიისა და კვებითი დარღვევების პათოფიზიოლოგიაში, თუმცა აზრთა სხვადასხვაობაა მისი როლის შესახებ ეპილეფტოგენეზში. ორექსინერგული ნეირონები დაკავშირებულია კრუნჩხვების-გენერატორ ჰიპოკამპის ნეირონულ წრებთან. წინა ექსპერიმენტებში კაინის მჟავას ეპილეფსიის ვირთაგვას მოდელში (კმ-ეს) ჩვენ ვაჩვენეთ ორექსინ-ბ პოზიტიური უჯრედების რაოდენობის შემცირება ჰიპოთალამუსში და მეხსიერების დაქვეითება, რაც კორელირებდა ჰიპოკამპში სტრუქტურულ ცვლილებებთან. ჰიპოკამპთან დაკავშირებულ ფუნქციებში ორექსინერგული სისტემის როლის შეფასების მიზნით, საკონტროლო და კმ-ეს-ით მოდელში შევისწავლეთ ორექსინის ეფექტები CA1/CA3 ველებში ნეირონულ აქტივობაზე.

In vivo ექსპერიმენტებში ლაბორატორიულ ვირთაგვებში (120-150გრ) ორექსინის ეფექტებს ვაფასებდით ჰიპოკამპში ფონურ აქტივობასა და ბიპოლარული ინტრაჰიპოკამპური სტიმულაციით გამოწვეულ ველის პოტენციალებზე. კმ-ეს-ის მისაღებად ხდებოდა კაინის მჟავას ინტრაპერიტონული ინექცია(15მგ/კგ). მეტალის სამპოლარული ელექტროდები ინერგებოდა სტერეოტაქსულად პაქსინოზისა და ვატსონის ატლასის მიხედვით კოორდინატები:CA1:AP3.8mm, L2.8mm, H2.8mm. CA3:AP3.8mm, L4.1mm, H3.7mm. ინტრავენტრიკულური ინექცია ხორციელდებოდა ქემიტროდით. ჰიპოკამპის ნეირონული აქტივობის რეგისტრაცია/ანალიზი მიმდინარეობდა პროგრამა Chart5-ით, ხოლო სტატისტიკური დამუშავება PRIZMA-ით. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ორექსინი-A საკონტროლო ცხოველებში იწვევს ფონური აქტივობის სიხშირის ზრდას და ამცირებს პასუხების ამპლიტუდას, ხანგრძლივობასა და Tmax.slope-ს CA1 ველში, სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები არ აღინიშნა CA3. CA1 ველში ორექსინი-A ორექსინ1 რეცეპტორების აქტივაციის გზით, ზრდის გამოწვეული პასუხების ამპლიტუდას და იწვევს წყვილადი გაადვილების პოტენცირებას. CA3-ში ორექსინის ეფექტები იყო შემაკავებელი. კმ-ეს-ით გამოწვეული ცვლილებები CA1/CA3 ველებში განსხვავებული ხასიათის იყო და ეპილეფსიით გამოწვეული ცვლილებები ცვლიდა ორექსინის მოქმედების ეფექტებს. განიხილება შესაძლო მექანიზმები.

საფერავის ფლავონოიდების ეფექტების შედარება ქვერცეტილისა და აზოტის ოქსიდის-სინთაზას ბლოკატორის ეფექტებთან კაინის მჟავას ეპილეფსიის ცხოველურ მოდელში

ეპილეფსია სპონტანური განმეორებადი კრუნჩხვებით მიმდინარე დაავადებაა, რომელიც ცვლის პაციენტთა კოგნიტურ ფუნქციებს, განსაკუთრებით დასწავლა/მეხსიერებას. ეპილეფსიის მკურნალობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცენარეული წარმოშობის ფლავონოიდებს, რადგან ისინი ბოჭკვენ რეაქტიული ჟანგბადის ფორმებს და თრგუნავენ პათოლოგიურ აზოტის ოქსიდს(NO), რომელთა რაოდენობის ზრდაც ნაჩვენებია ეპილეფტოგენეზში[2]. ჩვენს წინა ექსპერიმენტებში ნაჩვენებია საფერავის ფლავონოიდების (სფ) ანტიოქსიდანტური შესაძლებლობები: სფ ამცირებს ასაკთან დაკავშირებულ მალონდეალდეჰიდის ზრდას, იწვევს კაინის მჟავას ეპილეფსიური სტატუსით(კმ-ეს) განპირობებული ქცევითი და მეხსიერების დარღვევის კორექციას. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა საფერავის ფლავონოიდების მოქმედების შესაძლო მექანიზმები. კვლევის ამოცანა იყო შეგვეფასებინა კმ-ეს-ით განპირობებულ ქცევით და სტრუქტურულ ცვლილებებზე ადრეულ ეპილეფტოგენეზის სტადიაზე სფ-ით კვების ეფექტები და მონაცემები შეგვედარებინა ანტიოქსიდანტ ქვერცეტილისა და აზოტის ოქსიდის ბლოკატორის L-NAME-ს ეფექტებთან.

ექსპერიმენტები ტარდებოდა 8-10 კვირის თეთრ ლაბორატორიულ ვირთაგვებზე, ეპილეფსიური სტატუსის გამოსაწვევად ვიყენებდით კაინის მჟავას ერთჯერად ინექციას (15მგ/კგ), ეპილეფსიით განხორციელებული ცლილებები შევაფასეთ მორფოლოგიურ და ქცევით ექსპერიმენტებში და აღნიშნულ ცვლილებებზე განვსაზღვრეთ სფ (25მგ/კგ). ქვერცეტილისა(25მგ/კგ) და L-NAME-ს(40მგ/კგ) 8 დღიანი ადმინისტრაციის ეფექტები. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ სფ-ით კვება ამცირებს კმ-ეს-ით გამოწვეულ ქცევით დარღვევებს: კრუნჩხვების რაოდენობა და ხანგრძლივობა სტატისტიკურად სარწმუნოდ მცირდება, რაც კორელაციაშია დასწავლა/მეხსიერების პარამეტრების ცვლილებასთან. ქვერცეტილის ეფექტები ეპილეფსიით გამოწვეულ ქცევით დარღვევებთან მიმართებაში უფრო სუსტად იყო გამოხატული. L-NAME ამცირებდა კრუნჩხვების რაოდენობასა და ხანგრძლივობას, მაგრამ აძლიერებდა ეპილეფსიით განპირობებულ მეხსიერების დარღვევას. მორფოლოგიური ექსპერიმენტების მონაცემები (კმ+სფ) და (კმ+L-NAME) ჯგუფში აღმოჩნდა კორელაციაში ქცევითი ექსპერიმენტების მონაცემებთან: კრუნჩხვების შემცირების ფონზე კმ-ეს-ით განპირობებული ნეირონთა კვდომა აღარ გამოვლინდა. ქვერცეტინი აუმჯობესებდა დასწავლის ტესტს, თუმცა ცუდი ბიომედიკალინის გამო ჰიპოკამპის სტრუქტურის დაცვა არ აღინიშნა. შესრულებულია რუსთაველის ფონდის გრანტის FR/617/7-270/13 ფარგლებში.

ორექსინის გავლენა ჰიპოკამპის CA1/CA3 ველში სინაფსურ გაადვილებაზე საკონტროლო და კაინის მჟავას - ეპილეფსიის ცხოველურ მოდელებში

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ეპილეფსია ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ქრონიკულ ნევროლოგიურ დაავადებად არის მიჩნეული. ეპილეფსიური გულყრები ნეირონთა არანორმალური სინქრონული განმუხტვების შედეგია. კაინის მჟავა - ამაგზნებელი ნოიროტოქსინი - დღეისათვის ყველაზე ხშირად გამოიყენება ეპილეფსიის ცხოველური მოდელის შესაქმნელად. კაინატ-გლუტამატური რეცეპტორები დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ჰიპოკამპის CA3 ველში, რაც თავის ტვინის ამ უბანს ყველაზე კარგ სამიზნედ ხდის კაინის მჟავისთვის, ასევე ჰიპოკამპს აქვს ყველაზე დაბალი კრუნჩხვების გამოწვევის ზღურბლი მთელ თავის ტვინში. ორექსინერგული ნეირონები, რომელთა ექსპრესია აღნიშნულია ლატერალურ ჰიპოთალამუსში, იძლევა პროექციებს მთელს თავის ტვინში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნორმალურ თუ პათოფიზიოლოგიურ პროცესებში. კარგადაა ცნობილი ორექსინერგული სისტემის როლი ჰიპოკამპში მიმდინარე პლასტიკურ პროცესებში, თუმცა აზრთა სხვადასხვაობაა მისი მონაწილეობის შესახებ ეპილეფსიის პათოგენეზში. მოცემული ექსპერიმენტის მიზანი იყო შეგვესწავლა ორექსინის ეფექტები ჰიპოკამპის CA1/CA3 ველებში ინტრაჰიპოკამპური ელექტრული სტიმულაციით გამოწვეულ ნეირონულ აქტივობასა და სინაფსურ გაადვილებაზე საკონტროლო და კაინის მჟავას ეპილეფსიის მოდელებში. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ -კაინის მჟავას ეპილეფსიის მოდელში ინტრაჰიპოკამპური გაღიზიანებით გამოწვეული ერთხელობრივი განმუხტვების ამპლიტუდური მაჩვენებლები იზრდება ჰიპოკამპის CA1/CA3 ველებში, თუმცა სტატისტიკურად სარწმუნო შემცირება აღინიშნა CA1-ში. CA1 ველში ორექსინი-A ორექსინ1 რეცეპტორების აქტივაციის გზით, ზრდის გამოწვეული პასუხების ამპლიტუდას და იწვევს წყვილადი გაადვილების პოტენცირებას. ორექსინის ეფექტები განსხვავებული იყო საკონტროლო და ეპილეფსიის მოდელში. საკონტროლო ვირთაგვებში ორექსინი CA1-ში იწვევდა ზრდას, CA3 -ში შემცირებას, მაშინ როდესაც ეპილეფსიის მოდელში არ ცვლიდა აპლიკაციამდე სურათს. წყვილადი გაადვილების ტესტმა აჩვენა, რომ კაინის მჟავათი გამოწვეული ცვლილებები პოსტსინაფსური ლოკალიზაციისაა და ორექსინის ეფექტები საკონტროლო ანუ ნორმაში და ეპილეფსიის პათოგენეზში ამ პათოლოგიით განპირობებული ცვლილებების გამო განსხვავებულია.

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
---	--------------------------------	--------------------	------------------------------------

1	მაგდა ალანია	სეროტონინი უხერხემლოთა სხვადასხვა ჯგუფების კვებითი ქცევის მაკონტროლებელი ნეირონულ ანსამბლებში	2018 წლის 23-25 ოქტომბერი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნ.კ.კოლცოვის სახელობის განვითარების ბიოლოგიის ინსტიტუტი (რუსეთის ფედერაცია, ქ. მოსკოვი). აკადემიკოს ტ.მ. ტურპაევის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია საერთაშორისო ჩართულობით “სასიგნალო სისტემების ფიზიოლოგია და ბიოქიმია”
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ანგარიშის ფორმა № 2

2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, ბიომრავალფეროვნების მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი

პროფ. არნოლდ გეგეჟკორი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა

1. პროფ. არნოლდ გეგეჟკორი
2. ასისტ. პროფესორი- ზელიმხან კერესელძე
3. უფრ. ლაბორანტი - მაია ჩუბინიძე
4. ლაბორანტი - ქეთევან ოდიკაძე
5. მოწვეული პედაგოგი - ნანა ბარნაველი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის მიერ ერთობლივად შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

1.2.

№	დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	აზიური ფაროსანას (Halyomorpha halys) ბიოლოგია და რისკის შეფასება დასავლეთ საქართველოს აგრარულ კულტურებში: მონიტორინგისა და ალტერნატიული მენეჯმენტის სხვადასხვა საშუალების ანალიზი	2018 წლის 16 ნოემბერი, 2021 წლის 16 ნოემბერი	პოზიცი - მკვლევარი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
<p>1. როგორც ცნობილია, 2016 წლიდან დასავლეთ საქართველოში ინტროდუქციის გზით გავრცელდა აზიური ფაროსანა (Halyomorpha halys). მწერის ეს სახეობა ბუნებრივად გავრცელებულია აღმოსავლეთ აზიაში. აქედან ხელოვნურად შეტანილ იქნა აშშ-ში, ხოლო ამ ქვეყნიდან ბუნებრივად თუ ადამიანის გზით განსახლდა სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. დასავლეთ საქართველოში ეკოლოგიური პირობები ახლოს არის აღმოსავლეთ აზიასთან, ამიტომ მავნე მწერის პოპულაციის ანუ დემოგრაფიული მაჩვენებელი რეგიონში ძალიან მაღალ დონეს აღწევს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აზიური ფაროსანა პოლიფაგი მწერია და აზიანებს 300-ზე მეტ ველურ და კულტურულ მცენარეებს. შესაბამისად, მავნებელმა დიდი პრობლემა შეუქმნა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკას, განსაკუთრებით მეთხილეობას. შესატყვისად, აშშ-ს, კერძოდ, USAID-ის ეგიდით ხორციელდება პროექტი აზიური კუსებურას წინააღმდეგ კონტროლის სხვადასხვა მეთოდების. ამ პროექტში აქტიურად არიან ჩართულები საქარელოს სხვადასხვა დაწესებულებები. სამი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია მავნებლის ბიოეკოლოგიის შემდგომი შესწავლა და მის წინააღმდეგ კონტროლის დამატებით ღონისძიებების დასახვა.</p> <p>2.</p>			

2.2.

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Gegechkori A.M.	Biomes of the Caucasus: comprehensive review	Nova Science Publishers”, Inc. USA., (Agreement, 2018) (in press)	465 pp. 2019

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მონოგრაფიაში კავკასიის ორგანული სამყაროს თაობაზე პირველი ინტერდისციპლინური ნაშრომი გამოქვეყნდა დაახლოებით 100 წლის წინათ, ცნობილი მეცნიერის გუსტავ რადეს მიერ. აშშ-ში გამოსაცემი ჩემი მონოგრაფია წარმოადგენს მეორე ასეთ შემთხვევას გ. რადეს შემდეგ. ცხადია, უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში კავკასიის ბუნებამ (ფლორა-ფაუნა) ძირითადად ადამიანის ანუ ანთროპოგენური ზემოქმედებით განიცადა ძირეული ცვლილება. მსგავსი პროცესი არ შეეხო მხოლოდ დიდი კავკასიონის სამანქანო გზებით მიუდგომელ მაღალმთიან რეგიონებს. მონოგრაფია ინტერდისციპლინური კუთხით ასახავს კავკასიის რეგიონის (440 000 კვადრატული კილომეტრი) ორგანული სამყაროს რობას, მისი გეოგრაფიული ზონების ანუ ბიოლოგიის ენაზე ბიომების რაობას. გაკეთებულია ცალკეული ბიომის ფლორა-ფაუნის დეტალური ანალიზი და რაც მთავარია, ახსნილია მოცემულ ბიომთა ცოცხალი ორგანიზმების, განსაკუთრებით ენდემებისა და ენდემებისა-რელიქტების რაობა თანამედროვე პირობებში. მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რა სხვადასხვა იშვიათ სახეობებს, ცხოველთა და მცენარეთა ასეთი საკვანძო სახეობები დაწვრილებით არის აღწერილი ქოროლოგიის სიმალღებრივი სარტყლიანობის და ზოგადად პალეონტოლოგიის გათვალისწინებითაც. ნათქვამი ეხება კავკასიის უდაბნოებსა და ნახევრად უდაბნოებს, არიდულ ნათელ ტყეებს, სტეპებს, მთის ქსეროფიტებს, ფართოფოთლოვან ზაფხულმწვანე ტყეებს, ტაიგის ტიპის წიწვოვან ტყეებს, სუბალპურ და ალპურ სარტყლებს და მათ შორის გარდამავალ ეკოტონებს. პირველად არის მოცემული სრულყოფილი დიფერენციაცია კავკასიის უდაბნოების, კერძოდ, გრუნტის თავისებურებების მიხედვით. მონოგრაფიაში აქცენტი არის გაკეთებული ასევე დღევანდელ ბიომებზე ანთროპოგენული დატვირთვის თაობაზე, კერძოდ, მომთაბარე მეცხოველეობის ზეგავლენაზე, როგორც მაღალმთიან ჰაბიტატებში, ისე ზამთრის საძოვრებზე; პირიქით; ცალკე განიხილება მომთაბარე მეფუტკრეობის საკითხი, როგორც მაღალმთიანეთში ყვავილოვან მცენარეთა დამატებით დამტვერვის საშუალება. ყველა თავს ახლავს შემაჯამებელი დასკვნები და დაბოლოს, ზოგადი ხასიათის დასკვნა. ეს უკანასკნელი მოიცავს გარდა ზემოთ ნახსენები საკითხებისა კავკასიის ორგანული სამყაროს ევოლუციური ტენდენციების ფორმირებისა და ეკოლოგიის საკითხებს. წიგნი უხვად არის ილუსტრირებული (200-ზე მეტი ფოტო). ეს საილუსტრაციო მასალა ასახავს ცალკეულ ლანდშაფტურ ერთეულებს, მათში გამოყოფილ ჰაბიტატებს, ამ უკანასკნელში წარმოდგენილ მცენარეთა და ცხოველთა უნიკალურ სახეობებს. ეს ფერადი ილუსტრაციები, რიგ შემთხვევაში პირველად არის გადაღებული ავტორის მიერ და ამდენად ფრიად ამდიდრებს მონოგრაფიას ვიზუალურადაც. მონოგრაფიას ახლავს ტოტალური ნუსხა ლათინური ტერმინებისა და წიგნში გამოყენებული კავკასიელი და უცხოელი ავტორების ნაშრომები, რომელშიც გატანილია ნაშრომის ბოლოს როგორც დამოუკიდებელი ნუსხა.

5.2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				

2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.3. კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

5.4. სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Gegechkori A. M.	Patterns of dwarfing of European yew (<i>Taxus baccata</i>) at the subalpine treeline ecotone with limestone ground in the Greater Caucasus (Georgia, the Caucasus) https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1512188718300836	Annals of Agrarian Science. V. 16, Issue 2,	Elsevier, June 2018,	Pp.170-176.
2	Gegechkori A. M.	Insular distribution patterns in the Goravan Sands (Armenia) exemplified by the <i>Calligonum</i> -feeding psyllids (Hemiptera: Psylloidea). Turkish	Journal of Zoology	(TÜB TAK) 2019.	Manuscripts Requiring Revision After Reviews; 34pp. (in press).
5					

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ევროპული უთხოვრის (*Taxus baccata* L.) გავრცელებისა და გარემოსთან შეგუების თავისებურებები დიდი კავკასიონის (საქართველო) სუბალპურ სარტყელში

უთხოვარი მეზოზოურ-კაინოზოური ერების თავშესაყრის რელიქტური მცენარეა. ოლიგოცენამდე იგი ფართოდ იყო გავრცელებული ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, მაგრამ შუა პლიოცენიდან გლობალური აცივების შედეგად, ტენისა და ჩრდილის მოყვარული ეს ძვირფასი ხემცენარე თავისი ფართო არეალის მეტწილად ადგილებში გადაშენდა, ანდა თითო-ორი ინდივიდის სახით გადარჩა ტენის მოყვარულ ფართო ფოთლოვან ტყეებში, ხოლო კოლხეთის მსგავს ოკეანური კლიმატის მქონე რეგიონებში წარმოდგენილია საკმაოდ მჭიდრო პოპულაციის სახით, სადაც უკავია ტყის ზედა იარუსის მეორე სართული. მსგავსი მჭიდრო პოპულაციები ცნობილია შავი ზვისპირა რაიონებში, კერძოდ, ქალაქ სოჭის მიდამოებში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს, მდინარე ბაწარას ხეობაში. დღემდე ნაკლებად

შესწავლილი იყო მისი სიმაღლებრივი გავრცელება საქართველოს მთიანეთში. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დიდი კავკასიონის კირქვიანი მასივების შესწავლისას ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა უთხოვრის სიმაღლებრივი გავრცელების უკანასკნელი საზღვარი. სწორედ ეს გარემოება არ იყო დღემდე ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურიდან გლობალური მასშტაბით. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებით უთხოვარი აღწევს ზღვის დონიდან 2100 მეტრს (სამეგრელო, ოხაჩქუეს მასივი). აქაურ დეკიანებში გამოვლენილ იქნა ცალკეული ინდივიდი უთხოვრისა. აღნიშნული სიმაღლე რეკორდულია კავკასიისთვის და ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელი ჩრდილოეთ ნახევარსფეროსთვის. განსაკუთრებით საინტერესოა მაღალმთიანეთში უთხოვრის ბიოლოგიის ზოგიერთი თავისებურება, კერძოდ, გამრავლება. დავადგინეთ, რომ უთხოვარი თესლით მრავლდება 1700-1800 მეტრამდე ზ.დ. მაგრამ, უფრო ზემოთ უთხოვარი იცვლის ფორმას, ზომას და გამრავლების სტრატეგიას. სახელდობრ, ზ.დ.-დან 1900 მეტრზე (ლეჩხუმი, ხვამლის მასივზე) ჩვენს მიერ აღოჩენილი უთხოვრის სიმღლე არ აღემატება 4-5 მეტრს. მაგრამ არ იზრდება ტანბრეცილი ინდივიდების სახით, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა აქ იგი მრავლდება ვეგეტატიური გზით. ხვამლის, როგორც ჩანს ერთი ინდივიდიდან ვეგეტატიურად გამრავლებადი უთხოვარი განსაკუთრებული წესით „იქცევა“, ქმნის რა ძალიან დაბალი სიმაღლის მჭიდრო ბუჩქნარს. უთხოვარი, როგორც ითქვა, ჩრდილის მოყვარული მცენარეა, ამგვარად, ტყეს მოკლებულ სუბალპებში იგი ჩრდილს იგი თავს ვერ შეაფარებდა. ჩვენი გამოკვლევებით ოკაჩქუეს ერთეული უთხოვარი 1,5მ იზრდება რა დეკიანებში სათანადო ჩრდილის კომპესაციას ღებულობს სწორედ ფრიად კომპაქტური დეკიანის ბუჩქნარიდან, ხოლო ხვამლის პირობებში დეკიანის მსგვსს ბუჩქნარსა და სათანადო ტენს თვითონვე ქმნის. ნათქვამი უთხოვრის მაღალ მთაში ეკოლოგიური შეგუების მთავარი სტრატეგიაა, რაც პირველად ჩვენს მიერ იქნა დადგენილი

2. გორავანის ქვიშნარის (სომხეთი) ინსულარული გავრცელების თავისებურებები ჯუზღუნზე (ცალიგონუს) მკვებავი ფსილოდეას (Hemiptera: Psylloidea) მაგალითზე

ქვიშნარ უდაბნოებში მობინადრე ორგანიზმებს ფსამოფილებს უწოდებენ. ქვიშნარ უდაბნოებთან მცენარეთა და ცხოველთა შეგუება ადაპტაციის განსაკუთრებულ ხერხს მოითხოვს. ფრიად საინტერესოა ადგილობრივი ფაუნა, რომლის ერთ ჯგუფს ფსილოდეას სახით როგორც კავკასიაში, ისე შუა აზიაში ვსწავლობდით წლების განმავლობაში. სხვა, მეზობელი რეგიონებიდან დამუშავებულია სათანადო ლიტერატურა. ამგვარად, ჯუზღუნზე მობინადრე ვიწრო ოლიგოფაგები - ფსილოდეას სხით გაანალიზებულია აფრიკის კონტინენტიდან ვიდრე ჩინეთ-მონღოლეთის ჩათვლით უდაბნოთა ამ ვეებერთელა სარტყლის მიხედვით. დადგენილია ამ სარტყელში ცალკეულ რეგიონთა ამ ქვეყნების ფსილიდოფაუნის ტაქსონომიური სტრუქტურა ამ ფაუნის სახეობების ჩათვლით. უმდიდრესია შუა აზიის (თურანის) ფაუნა სამი გვართა და 20-ზე მეტი სახეობით. ჯუზღუნის სპეციფიკური ფსილიდოფაუნის სამი გვარი ამ ვეებერთელა ტერიტორიაზე სულ სამ ქვეყანაში არის აღნიშნული: შუა აზია, ისრაელი და კავკასია. კავკასიაში ჩვენი გამოკვლევებით სრულიად უნიკალურ სურათს წავაწყდით, როდესაც სომხეთის 300 კვადრატულ მეტრზე გორავანის ქვიშნარ უდაბნოში ადგილობრივ ჯუზღუნზე (*Calligonum polygonoides*) ჩვენს მიერ აღმოჩენილ იქნა ამ სპეციფიკური მწერების სამივე გვარი ხუთი სახეობით. ამ მაჩვენებლებით იგი ჯობნის თვით ირანის, ჩინეთის, მონღოლეთის შესატყვის უდაბნოების ფაუნას. ამგვარად, მსგავს სხვა ქვიშნარი უდაბნოებისაგან მნიშვნელოვნად იზოლირებულ გორავანის ქვიშნარი და მისი ფლორა-ფაუნა, უწინარესად ფსილიდოფაუნა უნდა მივიჩნიოთ რელიქტურ რეფუგიუმად, სადაც კალიგონუსის ფაუნა სამივე გვართი არის წარმოდგენილი. ნაშრომში სათანადო ვრცელი ცხრილის სახით აფრიკა-ცენტრალური აზიისა და სხვა ქვეყნების ჯუზღუნის ფსილიდოფაუნა შედარებითი ანალიზისათვის დაწვრილებით არის წარმოდგენილი

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	არნოლდ გეგეჩკორი	კავკასიის უდაბნოების ფსილიდოფაუნა (Hemiptera, Psylloidea): ტაქსონომიური შემადგენლობა და რეფუგიული ცენტრები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მეექვსე ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებში, XI კორპუსი, 2018. 12-15 თებერვალი, თბილისი, საქართველო, conference.ens-2018.tsu.ge/lecture/view/1035
3	Gegechkori, A.M.	Biodiversity of Georgia (the Caucasus) and problems of invasive species on the example of <i>stink bug</i> – <i>Halyomorpha halys</i> (Insecta: Hemiptera: Pentatomidae).	International Scientific Workshop BMSB (Halyomorpha halys) – Global Challenge International Experience for the Best Solutions. The event is sponsored and organized by USAID/REAP and TRECE Inc (USA); Plenary talk, Tbilisi, Georgia, 8 March. 2018.

მომხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

6.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
